

ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყული“ ხევის)

უძველესი მოხვეური თქმულებით¹, თანამედროვე სოფელ ყაზბეგის მახლობლად მთის პატარა მდინარის ყუროს ხეობაში გაშენებული იყო მოხვეუებით დასახლებული სოფელი, რომელიც თავის დროზე თემის ცენტრად ითვლებოდა. ამ სოფლის სახელი იყო, სათარგმნო. სოფ. სათარგმნოს სასაფლაოდ და მოსისხლეთა შერიგების იდგილად გამოუყვიათ ახლანდელი ყაზბეგის ქვემო უბნის ტერიტორიის ნაწილი „სამან-საყულის“ სახელწოდებით.

გამუდმებული წვიმების შედეგად, ყუროს ერთ-ერთი ადიდების დროს, სოფ. სათარგმნოს მოსახლეობა ბერად აღკვეცილი სტეფანე ფიცხელაურის² შემწეობით ახლანდელი ყაზბეგის ტერიტორიაზე გადმოიხიზნა. ხოლო ხალხისაგან დაკლილი სოფელი ყუროს ქვა-ტალახიანი ტალღების მსხვერპლი შექმნილა. ახალ საცხოვრებელ ადგილზე გაშენებულ სოფელს სტეფანწმინდა და დაარქვეს ხალხის მხსნელი სტეფანეს სახელის უკვდავოების ნიშნად.

სოფლის ეს სახელწოდება ძალაში იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, მანამდე, სანამ რუსები სტეფანწმინდასა და მუინვარწვერს ყაზბეგს დაარქმევდნენ მათთვის ერთგული მოხელის, ხევის მოურავის, გაბრიელ ყაზბეგის პატივსაცემად.

დასახლებულ ადგილზე უძველესი სასოფლო სამარხის არსებობის უტყუარ დადასტურებას იძლევა იქ წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამარხები [2, 3, 4], ე. ი. სოფ. სტეფანწმინდის (ახლანდელი ყაზბეგის) სასაფლაო და მოსისხლე გვარების შერიგებისათვის განკუთვნილი ადგილი, რომელსაც მოხვეურად „სამან-საყული“ რქმევიან. „სამან-საყული“ სწორედ იმ მცირე ტერიტორიულ მონაკვეთს წარმოადგენდა, სადაც თანამედროვე სოფლის ქვემო უბნის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და პარტრიაკომის ახალი შენობაა გაშენებული.

„სამან-საყულის“ ტერიტორია ერთ პექტარს აღწევდა. ძველად იგი შემოზღუდული ყოფილა ქვის მაღალი გალავნით, რომელსაც დატანებული ჰქონია ორი მოპირდაპირე კიშკარი — იღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეზე. კიშკრები მუდმივ დაურდულელებული იყო, ხოლო გასაღები ინახებოდა ხევის გაგასთან, რომელიც ხალხისაგან ერთხმად ირჩეულ და ნდობით აღჭურვილ მმართველად ითვლებოდა „მთლად კვეის თემობაში“.

ხალხური გადმოცემების თანახმად, გაგა ითვლებოდა ხევის მმართველად და „თავკაცთ უფროსად“. მის ფუნქციებში შედიოდა თითქმის ყველა სათემო

¹ მასალა ჩაწერილია ჩვენ მიერ 1949 წლის ზაფხულში შემდეგ სოფლებში: ყაზბეგი, გურჯეთი, ყანობი. მმართველებისაგან — ივანე ფიცხელაური, ივანე ეფიშვილი, გაბრტა ხუჯაშვილი, დიდიხა ბახალი.

² სტეფანე ფიცხელაურის ვინაობისა და სოფ. ყაზბეგის ისტორიის შესახებ მოხვეურმა ფოლკლორმა მრავალმხრივ საინტერესო გადმოცემები დღემდე შემოინახა, მაგრამ ამაზე მოუძღვრობა ამჟამად მოუხერხებელია.

საქმე. იგი იყო ხევის მიერ არჩეული და ხალხისაგან უფლებამოსილებული „მოდვარი, ლაშქართბელადი და კანონმდებელი ერობისა“. საფიქრებელია — პროტოტიპი და წინამორბედი ხევისბერისა.

აღსანიშნავია ის, რომ ხევში, დღესაც, მოხუცს, მიუხედავად იმისა თუ რა სახელს ატარებს იგი თავის სიციცხლეში, უმცროსები მიმართვისას უმეტესწილად გაგას უწოდებენ, რითაც გამოხატავენ მისდამი პატივისცენასა და მოხუცის უფლებრივიდ მაღალ მდგომარეობას. ეს ადათი მომდინარეობს შორეული წარსულიდან და გვიძლევს ნებას ვიფიქროთ ხალხური გადმოცემის კვებარიტებაზე, თუ მხედველობიდან არ გამოგვრჩება ის ფაქტი, რომ მოხუცისადმი გაგას წოდება მხოლოდ და მხოლოდ მისი უფლებრივ-საკობრივი უპირატესობითა და ახალგაზრდებისადმი უფროსობითაა გამოწვეული.

ხალხური გადმოცემის თანახმად, „ხევის გაგა, ეს მოციქული იყო როგორც ღმერთსა და ხალხს შორის, ისე მომწესრიგებელი და კანონმრჩვეელი მთელი თემისა და ჯამაათისა ყოფაცხოვრების ყოველგვარ საკითხში“.

ხევის გაგას, სხვა უფლება-მოვალეობასთან ერთად, მინდობილი ჰქონდა მოსისხლე საგვარეულოების დაზავების ფრიად მნიშვნელოვანი და საპატიო საქმეც. გაგას უფლებები, როგორც ხალხის მიერ არჩეული „ბჭეთუფროსისა“, განისაზღვრებოდა თემის მიერ შემუშავებული და მოხვევთა ყოფაცხოვრებაში ადათად განმტკიცებული კანონებით, რომელთა დარღვევა მომაცდინებელ ცოდვად და შეუწყნარებელ დანაშაულად იყო მიჩნეული. ამიტომ გაგას უდიდესი სიფრთხილე მართებდა, რომ ბტკივედ დაეცვა მოხვევრი ადათი და ფხიზლად ედევნებინა თვალური თემის ბჭეებისთვისაც. ამ უდიდესი მოვალეობის პირველი პირობა იყო ბჭეებისა და მოსისხლე გვარების ურთიერთობის შესწავლა, რომ მათ შორის არ ყოფილიყო არც ნათესაური და არც მტრული დამოკიდებულება.

თემის ბჭეები ობიექტურნი უნდა ყოფილიყვნენ და მიუყრდებლად უნდა წარემართათ მოსისხლეთა საქმის „გარჯულება“. წინააღმდეგ შემთხვევაში „ბჭეს“ თემის საბჭოდან გამოთქვანდნენ და, თუ ხალხის აღშფოთებას გამოიწვევდა უსამართლობით, თემიდანაც განიდევნებოდა ხალხის მოთხოვნითა და გაგას განაჩენის დასტურის ძალით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთიელთა შორის სისხლის აღების გამანადგურებელი წესი ადათად იყო გადაქცეული. ამ სისხლიან წესს მთიელნი არ ლალატობდნენ და იმდენად იყო მათში დამკვიდრებული, რომ თაობიდან თაობაზე გადადიოდა და აურაცხელ მსხვერპლს იწირავდა დროთა განმავლობაში.

რამდენადაც „მოსისხლედ ჩამომდგარი“ გვარები სხვის ჩურჩელად არ შეწყვეტდნენ ურთიერთმუსვრას, ბუნებრივია, რომ მის აღსაკვეთად მეორე და მესამე „თახუმობაში“ მაინც უნდა გადადგმოლიყო დაზავების ნაბიჯი, რათა ესა თუ ის გვარი სრულ მოსპობამდე არ მისულიყო.

უსასრულო და გაუნართლებელი სისხლის ღვრა საუკეთესო ვაეკაცებს სტაცებდა გვარს და ზოგჯერ საქმე იმ უკიდურესობამდეც კი მიდიოდა და ისე განუკითხავად გამოიცილებოდა გვარი ახალგაზრდებისაგან, რომ ხშირად „გორის გუშაგის“ გამოყოფასაც ველარ ახერხებდნენ და გვარზე განკუთვნილ საგუშაგო კომეებს მოხუცნი-ლა სდარაჯობდნენ. ცხადია, რომ ასეთი მოვლენა მთელ თემზედაც უარყოფით გაელენახ ახდენდა და, სამოლოო ანგარიშით, ასუსტებდა როგორც მოსახლეობის თავდაცვის უნარიანობას, ისე ამხელებდა

იმ მისიის შესრულებას, რაც მოხევეებს ჰქონდათ დაკისრებული დატარების კარიბჭის დაკვის საქმეში.

ეჭვს გარეშეა, რომ ხევის მოსახლეობაში გამომუშავდებოდა შეხედულება, რომ მოსისხლეთა მიუღწეველი დაზავებისა და ამ საკითხის მოგვარების მაღალი უფლება განსაკუთრებულ პირს უნდა ჩაჭბარებოდა. სწორედ ხევის გაგის ჰქონდა თემის სურვილით მინიჭებული ეს უფლება და იმის სიტყვას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უდიდესი ძალა ჰქონდა ამ საკითხის გადაჭრაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შერიგება იმ წესით, როგორც ეს ქვემოთ გვეჩვენება აღწერილი, და გაგას მეთაურობით შეკრებილი თავკაცების მონაწილეობა მხოლოდ იმ აუცილებლობით იყო გამოწვეული, თუ მოშულს გვარებს სისხლის ძიების ჯაჭვის გაწყვეტას ვლარ ახერხებდნენ და მათ შორის მორიგების თაოსანი „სოფლის კაცები“ თავიანთ უძლეურებაში დარწმუნდებოდნენ.

ჩვეულებრივად, მოსისხლეთა დაზავება გვარის უფროსებისა და სოფლის თავკაცების ინიციატივით ხერხდებოდა, თუ სისხლი „მამე“ არ იყო და ურთიერთდაჭრის ან უნებური ბეკლელობის საფუძველზე აღმოცენდებოდა. მაგრამ თუ სისხლ-მესისხლეობა ურთიერთმუსერის ბასიათს მიიღებდა და უაზრო ხოცვა-ჯლეტაში გადაიზრდებოდა, მაშინ კი საჭირო ხდებოდა საქმის სათემოდ აღძვრა და თავისი ხელქვეითი თავკაცებითურთ გაგას უშუალო ჩარევა, როგორც „ბჭეთუფროსისა და რჯულისთავისა“.

როგორც ბალბური გადმოცემა მოგვითხრობს, ხევის გაგა „ერობის თავყადეზე“ (ერობაში გამართულ გრძელ ქვაზე, ანუ ბჭობის ადგილას მოწყობილ საუფროსო სკამზე) სათათბიროდ ისე არ დაჯდებოდა, თუ „საშულლო აზარი ათავებული“ არ იქნებოდა ორ მოსისხლე საგვარეულოს შორის. დაზავების პირველ პირობად მიჩნეული იყო ის, რომ მოპირდაპირე გვარებს, სისხლის აღების ნიადაგზე აღმოცენებული მტრობის შედეგად, უმეტრსაყლებოდ ჰყოლებოდათ გაღებული მსხვერპლი, ამას ერქვა „საშულლო აზარის ათავება“.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ გაგას ხელში საქმის მოხვედრის დღიდან დაზავების საკითხი ერთნაირი სერიოზულობით განიხილებოდა „ერობის თავყადეზე“, იმის მიუხედავად, მტრობა ახალი იყო თუ ხანდაზმული, მსხვერპლთა საერთო ოდენობა მცირე იყო თუ დიდი.

ჩვეულებრივ, მორიგებია ინიციატივას იზენდა თვით ხევის გაგა, რომელიც თავდაპირველად მოსისხლე გვარების თავკაცებს დაიყოლიებდა შერიგებაზე და, რაბან იმათგან „ულვაშნაფიც სიტყოს“ აიღებდა, დინარჩენი ადვილად და სწრაფად გვარდებოდა.

„ულვაშნაფიცი სიტყო“ ნიშნავდა იმას, რომ გაგა წვერ-ულვაშზედ დააფიცებდა გვარის წარმომადგენლებს, რომ ისინი სიტყვას არ გატეხდნენ და ყოველ ღონეს იხმარებდნენ დაზარილებული ოჯახების ეაგაცთა შერიგებისათვის. ასეთი ფიცი არ გატყდებოდა, თუნდაც სისხლის ფასად დასჯდომოდით ეს.

რაბან ხევის გაგა მოსისხლეთა თავკაცების ულვაშნაფიცი სიტყვას აიღებდა, უახლოესი დღესასწაულის ალიონზე სოფელს გაიღვიძებდა კოშკის თავზე გადმომდგარი გაგას მიცნის ბუკის ხმა.

მაცნე თეთრად იყო შემოსილი და ბუკის გარდა ხელთ წვრილი ზანზალაკებით თუ ზარებით ახუნბული ხის შუბი ეკავა. მაცნის ტანმორთულობა და შეიარაღება ყველასათვის მისახვედრი და სასიხარულო ნიშანი იყო.

სოფელი სწრაფად აიშლებოდა და ყოველი ოჯახი შეუდგებოდა იმ სამზადისს, რაც აუცილებელი იყო ამ მომენტისათვის. უფრო ახალგაზრდები კი

„სამან-საყუდის“ მახლობლად შეიყრიდნენ თავს, რათა შორიდან უზრუნველად მომავალი დაზავების ცერემონიისათვის.

როგორც კი ყუროს კლდეს „ორ შუბის ტარზე“ ასცილდებოდა დილის მზე, ხევის პატრონის ადგილ-სამყოფის კარიბჭეს ორი შუბოსანი გუშაგი გააღებდა და იქიდან მედიდური ნაბიჯით გამოვიდოდა მოხუცი, რომელსაც ხელთ საუფლებო კვერთხი ეკავა და მხრებზე მწიფე შვინდიაფერი წაშოსასხამი ეფინა.

ხევის გაგა ხმისამოუღებლივ გაემართებოდა „სამან-საყუდის“ გალავნი-საკენ, რომელსაც კვალში მიჰყვებოდა ქუდძობილი და შეიარაღებული ვაეკაცების ორი მწყრივი. ეს უკანასკნელნიც სრულ სიჩუმესა და წესრიგს იცავდნენ, რადგან ერთიმეორის მოსისხლენი იყვნენ და მათი ერთიმეორეში დალაპარაკება დაზავების წუთამდე მხოლოდ ახალ შულსა და სისხლის დაქცევას გამოიწვევდა.

ღუმელმოსილი პროცესიო ჩააღწევდა თუ არა „სამან-საყუდის“ აღმოსავლეთის კიშკართან, ხევის გაგას ჰაერში შემადღებული კვერთხი ადგილზე გააქვავებდა ყველას. გაგა შემობრუნდებოდა და ყველას გასაგონად იტყოდა:

„ხალხნო და ჯამაათნო — გესმოდესთ! მშვიდობის ანგელოზმა ჯღუნეთა და ზალიეთ გორჩი სამტრო კმალ-სატყვარი შუა გასტეხა და თქვენის დასწრებითა და ჩემის დალოცვით მაგათ ერთურთნი მტრობას სათემო სამანი უნდა ჩავუყარათ. აგრე სურს ღმერთსაც და ჩვენც!“

— „ამინ, აგრე იყოს!“ — შეკავებული გუგუნით უპასუხებდა ხალხი და, როგორც კი გაგა პირს დასივლეთისაკენ იბრუნებდა, იმავე წუთს მის წინაშე გაიღებოდა აღმოსავლეთის კიშკარი და ორი თმაგამლილი, თეთრად შემოსილი 10—12 წლის გოგონა წინ შეეგებებოდა ხევის პატრონს და ნუხლმოყრილი მხარტმეოდნენ მკირე ტაბლას, რომელზეც პური და მარილი იდო და დოქით სუფთა წყალი იდგა. გაგა დალოცავდა ტაბლას, გატეხდა პურს, მოაყრიდა მარილს და როგორც კი ლუკმას შეჭამდა, ზედ ერთ ყლუბ წყალს დააყოლებდა, დაილოცებოდა:

„გვარიდას ღმერთმა ერთურთის სისხლი და ფიცის გატეხა!

სასახელოზე გვაყოცხლას და სავაგაყოზე დაგვსოცას!“

მოსისხლეთა ორი თავკაცი პირდაპირ გაიმეორებდა გაგას მოქმედებას ტაბლასთან და მის სიტყვება კუჩრს დაუკრავდნენ — „ამინ, აგრე იყოსო“.

ამის შემდეგ მთელი პროცესია მიაყვებოდა ხევის გაგას და, როგორც კი ეს უკანასკნელი „ერობის თავყადზე“ დიბრძანდებოდა, ხალხი ორ მწყრივად შემოერკალებოდა საბრჭო ადგილს და გაგაც შეუდგებოდა საქმის გარჩევასა და „გარჯულვას“.

გაგას ბრძანებით წინ წამოდგებოდა მოსისხლე გვარის ორი თავკაცი და მოახსენებდნენ ერობის წევრებს, რომ მათ გვარიშვილთაგან ნაბოძები აქვთ რწმუნება თემს ამცნონ „მოშულართა“ სურვილი შერიგებრსა, რომ „მოსისხართ“ სურთ კუთილი დამოკიდებულების ერთიმეორეში დადგენა, რომ ორივე გვარს თანასწორად ჰყავს ვალდებული მსხვერპლი და „საშულლო აზარი ითავებულა“. გვარისგანვე ნაბრძანები აქვთ, რომ „სამტრო კმალ-სატყვარი გასტეხონ და ადგილის დედის მხარტონ“, ე. ი. ჩამარხონ მიწაში, რათა „ცოდვა მიწამ ზიდას“, ხოლო გვარი სისხლის სიმძიმისაგან განსპეტაკდეს.

მოსიშენდა რა თემა გვარის უფროსების ნიშნების, საბჭოს წევრება სპ-
ბალხოდ ხმალებ დაფიციებდნენ გულწრფელობაში, ხოლო შემდეგ გაგას კვერ-
თხის ნიშნებით „თავყაღესაგან“ ყველანი განერიდებოდნენ.

ბკობისათვის ადგილზე რჩებოდა მხოლოდ გაგა და საბჭოს 8 წევრი,
რომლებიც ადრევე შეირჩეოდნენ პირადად ხევის გაგას ნიერ. ადგილობრივი
თათბირი დიდხანს არ გასტანდა. მოისაუბრებდნენ ერთიმეორეში და ამის
შენდეგ გაგას მეთაურობით ყველანი დახვეების რიტუალის აღსრულებისათვის
განკუთვნილ ადგილზედ წარეშარებოდნენ.

სუფთა ადგილზე ამოთხრებოდა დაახლოებით 'ერთი მეტრი სიღრმის
ორმო, სადაც გაგა მუნჯურად (ხმისამოუღებლად) რაღაც ლოცვას იწყებდა.
როგორც კი იგი ამ ორმოს თავზე ლოცვას მოათაუებდა, მისულთ მოიხმობდა
და მის წინაშე კვლავ წარსდგებოდნენ რწმუნებაამოსილი თავყაცები და ცალ
მუხლზე დაიხოქებდნენ. გაგა მიუახლოვდებოდა მათ, ორივე ხელს თავზე და-
ადებდა და წარმოთქვამდა:

— „ღმერთი ლოცავდეს თქვენს კეთილ სურვილსა. დღეის ამის იქით
ჯღუნეთა და ზალიეთ ზუა მშვიდობის ანგელოზი მოციქულობდეს და იგივე
გფარვიდესთ ავიააგა. ერთურთის, სამტრო ჯმალ-სატევიარი ვადაშიმც გაგო-
თბტებოდესთ. სიფრო და ქალ-უქითხაენი იყავით ერთურთი.

ფიცის განტებს მოლაღტის სამანიმც ჩახყროდეს საშვილიშვილოდ!“

— „ამინ, აგრე!“ — უპასუხებდნენ მტრადყოფილნი და ამ სიტყვებთან
ერთად ხევის გაგა შუა გადატებდა ხმალს, ჩააგდებდა ორმოში და დასძენდა:
— „მიწამ ზიდოს ის ცოდვა. რაც ძმათა საშულლოდ დაგიღერია წყულო!“ —
მუხლმოყრილნი სწრაფად ზეიქრებოდნენ, ერთიმეორეს ხელს ჩამოართმეფ-
დნენ და იტყოდნენ:

— „ერთურთი სამტროდ გაღვიძებული ჯმალ-სატევიარი ვადაშიმც გო-
დოგიტყდების და სამტრო მარჯვენა კი მიწამ ქამას!“

მაშინვე იშეშლებდნენ მახვილებს, გასცლიდნენ ერთიმეორეში და
იმავე წუთს გადატებდნენ თუ არა, ჩაყრიდნენ ორმოში და დააყოლებდნენ:—
„წყულომც იყავ ძმათა სისხლის დამღვრელო და მიწამ გზიდას ორგზის ცო-
ღვიანო“.

ამის შემდეგ მოსისხლე გვარების იქ დამსწრე ყველა მამაკაცი იშეშ-
ვლებდა „ჯმალ-სატევიარს“ და საერთო ორმოში ჩაყრიდა.

მოთავდებოდა თუ არა ეს ცერემონიალი, ნამაკაცნი განერიდებოდნენ
ამ ადგილს და განჟრბოებით შეუგუფდებოდნენ შორიახლოს. რიგი დედათა
სქესზე მიდგებოდა. ისინი ხმისამოუღებლად და მკაცრი წესრიგით მიუახლოვ-
დებოდნენ დამტვრეული იარაღით ამოყორილ ორმოს და ამ სასიხარულო მო-
მენტის აღსანიშნავად სწირავდნენ იმას, რაც მათ ეძვირფასებოდათ ან გა-
აზნდათ სამკიულად: ბეჭედი იყო ეს, საყურე თუ სხვა რამ ნივთიული — ყველა
ზედ ეყრებოდა ნამუსრ იარაღს.

ქალთა შენაწირავის ბოძების მოთაფების შემდეგ, გაგას მაცნე, რომელიც
განაგრძობდა ბოლომდე კოშკზე ყოფნას, ბუკის განსაკუთრებული ხმით ამცნობ-
და სოფელს სასიხარულო ამბის კეთილად დაბოლოვებას, კოშკიდან სასწრა-
ფოდ ჩამოიქრებოდა, მივიდოდა ისიც იმ ორმოსთან, სადაც „შურისგების“-
აქტი დასრულდა, გიტებდა თავის ზარ-ზანზალაკებთან შუბს და იმასაც შიგ
ჩააგდებდა.

ხევის გაგა კვლავ ორმოს მიუახლოვდებოდა და ერთ ბუკა მიწის შიშით უკრიდა, რასაც გაიმეორებდა ყველა იქ დამსწრე იმ დრომდე, ვიდრე მისი მიწით არ დაიფარებოდა.

როდესაც ორმო მიწით ამოივსებოდა, ორმოს თავში სამი დიდ-პატარა გრძელი ქვა ჩაიფლებოდა, რომელსაც ეწოდებოდა „სამიანი“, ხოლო იმ ადგილს, სადაც შერიგების ცერემონიის მოწყობის მიზნით კეთდებოდა ორმო, მასზე დაყენებული ქვებით, „სამიანი-საყუდი“ ერქვა.

„სამშვიდობო სამნებით“ შემკობილ ორმოს კარგად მოტყუბნიდნენ და ხევის გაგაც, ყველის თანხლებით, დასავლეთის ქიშკრით მდ. თერგის სანაპიროსაკენ გაემართებოდა.

თუ აღმოსავლეთის მხრიდან შემოსასვლელ ქიშკარში თიანთილილი გოგონები შეეგებებოდნენ ხევის გაგას და მხოლოდ პურით, მარხლით და წყლიანი დოქით გაწყობილ მცირე ტაბლას მართმევედნენ, სამაგიეროდ, დასავლეთის ქიშკართან იმავე ასაკის ორი თმადანული გოგონა ხევის გაგას ამჯერად უხვი საკმელებითა და ლუდით სავსე „კათხებით“ გაწყობილ „სიფროს“ დაახვედრებდნენ.

ამ ორივე შემთხვევაში გამოხატულია ხალხის მდგომარეობის ორი მომენტი: პირველში — გლოვისა და მეორეში — მშვიდობიანობის მიღწევისა. თმის გაშლა და მცირე ტაბლა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მწუხარების მაუწყებელია, ხოლო თმების დაწვნა და ტაბლას უხვად შემკობა — გლოვის მხიარულებით შეცვლის გამომხატველი.

„სამიანი-საყუდიდან“ დასავლეთის ქიშკრით გასული გაგა გოგონების მიერ მართმეულ ლუდით სავსე „კათხას თავს გადაუქცევდა“, შეიწყალებდა და ლუპულთა სულებს და იტყოდა: „წყალმა ზიდას დღეის ანას იქით თქვენი მტრობაცა და ნაშუღლარიცა“. ლუდს გალავნის იქით გადააქცევდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდოდა დასავლეთის ქიშკრიდან.

ამ დაზავების რიტუალის აღსრულების შემდეგ სოფლის შუაგულში სათემო ნადიმი იშლებოდა და გვიანობამდის გრძელდებოდა ქეიფი და „ტაშფანდურა“.

ჩვეულებრივ, ასეთი დაზავების შემდეგ, მტრადყოფილი გვარები ცდილობდნენ ერთმანეთში დამოყვრებას, რათა შერიგება ნამდვილი ნათესაური კავშირით გამიგრებულიყო.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ხევში დღესაცაა შემონახული მონადირეთა შორის „აზარის ათავების“ წესი, ე. ი. როდესაც რომელიმე მონადირე, დროთა განმავლობაში, მოკლულ ჯიხვთა რაოდენობას ასამდე აიყვანს, ის სამი დღით მიწაში მარხავს სანადირო თოფს, ხოლო მესამე ჯიხვს სათემოდ ხამოაჩივებს. სამი დღის შემდეგ თოფი მიწიდან კვლავ ამოიღება და მისი პატრონი მეორე „აზარის ასრულებას“ შეუდგება.

ხენი აზრით, ეს წესი გამოძახილი უნდა იყოს იმ შორეულ წარსულში არსებული „საშულლო აზარის ათავებისა“, რომლის შესახებ ზემოთ იყო საუბარი, როგორც მოსისხლეთა შერიგებისათვის აუცილებელ წინაპირობაზე.

მოსისხლეთა შერიგების ზემოთ აღწერილი ჩვეულების განხილვისთან დაკავშირებით, ხვენს უურადლებას იქცევს ის მოსაზრება, რომელიც „სამიანი-საყუდის“ ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთების შესწავლის საფუძველზე იქნა წამოყენებული. მხედვე-

ლობაში გვაქვს არქეოლოგიით გატაცებული ავსტრიელი ბუნებისმეტყველების ფრიდრიხ ბაიერნის კონცეფცია.

ფრ. ბაიერნი ერთი იმ მკვლევართაგანი იყო, რომელიც გ. დ. ფილიმონოვის [1], ვ. ბ. ანტონოვიჩის [2] და პროსკ. უვაროვას [3, 4] მსგავსად თხრიდა თანამედროვე მუზეუმის ეზოს, ანუ „სამან-საყუდის“ ტერიტორიის ნაწილს.

ფრ. ბაიერნის აღწერილობით, მისი მუშაობის დროს, ერთ-ერთი სამარხიდან წყალმა ამოხეთქა დაახლოებით 1/3 მეტრის სიღრმიდან. წყლის ფსკერი მოფენილი ყოფილა სრულიად მთელი და დაუზიანებელი ოქროს სამკაულებითა და ბრინჯაოს დამსხვრეული იარაღებით.

ფრ. ბაიერნმა როგორც მოპოვებული მასალა, ისე მისი აღმოჩენის ადგილი აღწერა და თავისი დასკვნები ჩამოაყალიბა. ავტორის კონცეფციით, გათხრის დროს ამოხეთქილი წყალი სოფელ ყაზბეგის ძველი წყარო იქნებოდა. ეს მით უფრო სარწმუნოდ მიაჩნია ფრიდრიხ ბაიერნს, რომ მის დროს ყაზბეგლებმა წყალს თერგის გაღმიდან (სოფ. გერგეტის ქვემო უბნის ტერიტორია — ვ. ი.) ეზიდებოდნენ საკუთარი წყაროს (სასმელად ვარგისი სუფთა წყლის) უქონლობის გამო (!). მაგრამ — ბაიერნის თქმით — ძველად თერგის გაღმიდან წყლის გამოტანის შესაძლებლობა არ ექნებოდა მოსახლეობას, ხიდის უქონლობის გამო, და უძველესად თავისი წყარო უნდა ქონოდათ. ყაზბეგის უძველეს წყაროდ მკვლევარმა სწორედ გათხრის დროს აღმოჩენილი წყალი მიიჩნია. ფრ. ბაიერნი ანაც წყაროს, მეორე შემთხვევაში, ლეთაება პრიაპის (ძველი ბერძენების წარმოდგენით ნაყოფიერების ღმერთი) წმინდა წყაროდ მიიჩნევს, რომელსაც საჩუქრებს სწირავდნენ — ქალები სამკაულებს და მამაკაცები იარაღებს. და განაყოფიერებას შესთხოვდნენ. მისივე მტკიცებით, საწირს წყაროში ყრიდნენ, რომ არავის წიელო. ბოლოს მთა ყურიდან გამოქანებული მეწყერი, დაუტანია ეს წყარო და სალოცაეი, რის შედეგადაც ბრინჯაოს იარაღები სულ დამტვრეული და ოქროს ფაქიზი სამკაულები უვნებლად გადაარჩენილა [5].

ფრ. ბაიერნის ეს მსჯელობა დიუსაბუთებელი და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებლად შეკონფიწებული დებულებების გროვას წარმოადგენს, რაც, ჩვენი აზრით, მისაღები არ არის.

ამ მხრივ, მკითხველის განსაკუთრებით განცვიფრებას იწვევს ფრ. ბაიერნის ის „განმარტება“, რომელიც ეხება სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს დამტვრეული იარაღებისა და ოქროს სამკაულების უვნებლად შენახვის ისტორიას. ფრ. ბაიერნის თქმით, ბრინჯაოს ხმალ-ხანჯალი დამტვრეული ყუროდან წამოსული ზეაფის დაწოლის შედეგად, ხოლო რამ გადაარჩინა იქვე მდებარე ოქროს ფაქიზი სამკაულები, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ფრ. ბაიერნის „არგუმენტაციას“ რეალური საფუძველი არ გააჩნია და ამიტომ ის უარყოფის ღირსია.

ხევის ეთნოგრაფიულ ვითარებაზე დაკვირება და ამ გზით შეძენილი მასალების გათვალისწინება ფრ. ბაიერნის კონცეფციის უკუგდების ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობის მქონეა.

ყაზბეგიანთ ეზოში (ძველი „სამან-საყუდის“ ტერიტორიაზე) აღმოჩენილი სტვრები, რომლის დამტვრევის მიზეზად ფრ. ბაიერნმა მთა ყუროდან ჩამოზავებული მეწყერის დაცემა მიიჩნია, ჩვენი აზრით, იმ სატვრების ერთი ნაწილი უნდა იყოს, რაც ზემოთ აღწერილ შერიგების წესთან დიკავ-

შირებით იმსხვრეოდა მტრადუყოფილი საგვარეულოების წევრთა მიერ. ზეგას ვაგას მეთაურობით, და წინასწარ ამოთხრილ „სამშვიდობო“ ობიექტთა იყრილობა.

ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ქალის სამკაულების თავმოყრა ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილ ორმოში, რადგან მოსიხსლეთა დაზავების მომენტში, როგორც ეს უკვე ზემოთ ითქვა, ქალებიც ყრიდნენ საწირს სამკაულის სახით სწორედ იმ ორმოში, სადაც მამაკაცები თავიანთ შუა-შუა გადატეხილ სატყვრებს.

ამგვარად, როგორც არქეოლოგიური მონაცემები, ისე ეთნოგრაფიული მასალები გვარწმუნებენ იმაში, რომ ყაზბეგიანთ ეზოში ფრ. ბაიერნის მიერ აღმოჩენილი „საგანძური“ თავისი სპეციფიკური განლაგებით დაზავების იმ ერთ-ერთ ორმოს უნდა წარმოადგენდეს, რომლის თავში „სამან-საყული“ მდგარა. ასეთი ორმოებით ყოფილა მოწყობილი თანამედროვე ყაზბეგის ქვემო უბნის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი და მას საერთო არაფერი აქვს ფრ. ბაიერნის მიერ გამოგონებულ „პრიაპის კულტთან“.

В. Д. КТОНИШВИЛИ -

ИЗ ИСТОРИИ НАРОДНОГО УПРАВЛЕНИЯ

(«Саман-сақуди» в Хевии)

Резюме

В труде выявлены некоторые самобытные черты народного управления, которые до сих пор исследователями не были замечены.

Эта особенность народного управления выражается в существовании обычая примирения враждующих фамилий, кровников. Выясняется, что это право входило в компетенцию главы хевской общины «хевис гага» и совета старейшин Хевии. Церемония акта примирения носила исключительно торжественный характер. Заключительный момент этой церемонии состоял в том, что мужчины бросали в яму разломанные на части оружия, а женщины — свои украшения.

На основании этих данных, так называемый казбекский археологический клад получает совершенно новое освещение.

ლიტერატურა

1. Г. Д. Ф я л и ж о н о в, О исторической культуре в Осетии. Антропологическая выставка 1879 г., т. II, Москва, 1878—1879, приложение к XXXI тому Известий Общества любителей естествознания, Москва, 1878.
2. В. Б. А в т о ш о в и ч, Дневник раскопок вельюных на Кавказе осенью 1879 года, Пятый археологический съезд в Тифлисе, Москва, 1879.
3. У в а р о в а, Кавказ, путевые заметки, 1, Москва, 1887, 83—87—100.
4. У в а р о в а, Могильники Северного Кавказа, Материалы по арх. Кавказу, Т. VIII, Москва, 1900.
5. Fr. B a y e r n, Untersuchungen über die Ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien. Zeitschrift für Ethnologie, Berlin, 1885, Supplement, 83—41—56; შტრ. A. T. Tallgren, Caucasian monuments, The Kazbek Treasure, Eurasia Septentrionalis Antiqua, V, Helsinki, 1930.